შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერ
ს/კ: 445593705

ჯავახიშვილის 4ა
ბათუმი, საქართველო, 6004
ტელ: (+995) 511 400 303
ელ-ფოსტა: info@meridiani.edu.ge
ვებ-გვერდი: www.meridiani.edu.ge

MERIDIAN

LIMITED LIABILITY COMPANY
Meridian Maritime Training Centre
I/N: 445593705

Javakhishvilis str. 4a
Batumi, Georgia, 6004
Tel: (+995) 511 400 303
E-mail: info@meridiani.edu.ge
Web: www.meridiani.edu.ge

№ 00000250

02/10/2025

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (შემდგომში - მეთოდოლოგია) არეგულირებს შპს ,,მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის კოლეჯში“ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმს.

1.2. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშვების საფუძველია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, მოქმედი კანონმდებლობა და კოლეჯის დებულება.

1.3. წინამდებარე მეთოდოლოგია განსზაღვრავს დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესსა და პირობებს, რათა დაწესებულებამ მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა ის ოპტიმალური რაოდენობა, რომელთათვისაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეძლებს ხარისხიანი პროფესიული განათლების მიცემას რესურსების გათვალისწინებით.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის პირობები

2.1. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისზღვრება პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამების სპეციფიკის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტებისა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განთლების მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით.

2.2. დაწესებულებაში არსებობს A, B, C, A/B და A/C ტიპის სასწავლო გარემო.

2.3. A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად, აღჭურვილია სასწავლო მაგიდებით, სკამებით, დაფით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, დემონსტრირების საშუალებით.

2.4. B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული კლასი, რომელიც აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის კომპიუტერებით (1 პროფესიულ სტუდენტზე - 1 კომპიუტერი), სასწავლო მაგიდებითა და სკამებით, ქსელური პრინტერითა და პროექტორით.

2.5. C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით ან გარეთ მოწყობილ შენობაში. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის. C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულის შესაბამისი მატერიალური რესურსითა და ინვენტარით.

2.6. A/B და A/C ტიპის გარემო ითვალისწინებს ერთ სივრცეში კომპიუტერული კლასის თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის გამოყენებას და სპეციფიკური სასწავლო გარემოს თეორიული და ჯგუფური მეცადინეობის მიზნებისთვის გამოყენებას.

2.7. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ყველა იმ ტიპის გარემოს მონაცემებიდან უმცირესი, რასაც ითვალისწინებს პროგრამის თავისებულება.
2.8. დასაშვებია სხვადასხვა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოსა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.
2.9. საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულები ითვალისწინებენ პროფესიული სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების/მემორანდუმების საფუძველზე. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი საკმარისი უნდა იყოს ობიექტზე განაწილებული პროფესიული სტუდენტებისათვის.
2.10. დაწესებულებას ჰყავს თითოეული პროფესიული მოდულის განმახორციელებელი მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული ჩასატარებელი კვირეული საათების გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო ცხრილის მიხედვით (პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის გათვალისწინებით კვირაში მაქსიმუმ 40 საკონტაქტო საათი).
2.11. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ A გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს.
2.12. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო B გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ B გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეული საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს.
2.13. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო C გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ C გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს.
2.14. A/B და A/C ტიპის გარემოს გამოყენება შესაძლებელია ორ ცვლაში კვირეული 60 საათიანი დატვირთვით იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელების მიზნით,

შესაბამის გარემოში იმ კვირისათვის საათობრივი დატვირთვის ჯამი არ აღებატებოდეს 60 საათიან დატვირთვას.
2.15. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად.
2.16. გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ, წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინებით გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის აღმასრულებელი დირექტორი.
მუხლი 3. დასკვნითი დებულებები
3.1. წინამდებარე წესში ცვლილების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს კოლეჯი მერიდიანი
აღმასრულებელი დირექტორი
შარაბიძე ირაკლი